

ტესტის სახელწოდება

ინჰიბინ B

ტესტის ალტერნატიული დასახელება

ალტერნატიული დასახელება არ გააჩნია

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ინჰიბინები ჰორმონებს წარმოადგენენ; ქალებში ისინი გამოიყოფა საკვერცხის გრანულოზური უჯრედების მიერ, ხოლო მამაკაცებში - სათესლეში არსებული სერტოლის უჯრედების მიერ.

ინჰიბინები FSH-ის (ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონი) სეკრეციას თრგუნავენ.

ინჰიბინების მოლეკულა 2 სუბერთეულისგან შედგება - ალფა სუბერთეულისგან და ბეტა A ან ბეტა B სუბერთეულისგან. შესაბამისად, ინჰიბინი ორგვარია:

1. ინჰიბინ A, რომელიც ალფა და ბეტა A სუბერთეულებისგან შედგება;
2. ინჰიბინ B, რომელიც ალფა და ბეტა B სუბერთეულებისგან შედგება.

მოცემული ტესტი სისხლში ინჰიბინ B-ს რაოდენობას განსაზღვრავს.

ინჰიბინ B, ძირითადად, პატარა, განვითარებადი ფოლიკულების მიერ წარმოიქმნება. მისი დონე მნიშვნელოვნად იმატებს მენსტრუალური ციკლის ფოლიკულურ ფაზაში და ამ ფაზის დასასრულისთვის ისევ ქვეითდება. ციკლის შუა პერიოდში აღინიშნება ინჰიბინ B-ს რაოდენობის ხანმოკლე მომატება. ლუთეინური ფაზის განმავლობაში მისი დონე დაბალი რჩება.

მენოპაუზის დადგომისას, ინჰიბინ B-ს დონე ძალიან დაქვეითებულია და ზოგჯერ მისი აღმოჩენაც კი აღარ ხერხდება.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ინჰიბინ B-ს ანალიზი ინიშნება:

- უნაყოფობის მიზეზის დასადგენად
- საკვერცხის რეზერვის შესაფასებლად
- საკვერცხის ზოგიერთი ტიპის სიმსივნის დიაგნოსტიკისა და მონიტორინგისთვის

ინჰიბინ B-ს რაოდენობა მომატებულია საკვერცხის გრანულოზური უჯრედებიდან წარმოქმნილი სიმსივნეების არსებობისას. ასეთ დროს, ინჰიბინ B-ს მომატება აღინიშნება პაციენტთა 89-100%-ს, ხოლო მისი დონე ნორმასთან შედარებით დაახლოებით 60-ჯერ მაღალია.

პაციენტთა 55-60%-ში, ინჰიბინ B-ს დონე მუცინოზური ტიპის ეპითელიური სიმსივნეების დროსაც იმატებს.

ინჰიბინ B სხვა ტიპის სიმსივნეების მარკერად არ გამოდგება, თუმცა ზემოთ ნახსენებ ორ შემთხვევაში, იგი CA 125-ზე (საკვერცხის კიბოს მარკერი) უკეთეს მარკერს წარმოადგენს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მენოპაუზამდე ინჰიბინ B-ს კიბოს მარკერად გამოყენება ძნელია.

ინჰიბინ B-ს დონე მენსტრუალური ციკლის მიხედვით მერყეობს და ამიტომ, მენოპაუზამდე საკმაოდ რთულია ტესტის შედეგების სწორად ინტერპრეტაცია და მისი დონის სიმსივნის არსებობასთან დაკავშირება.

ინჰიბინ B-ს ტესტი, FSH-ისა და ანტიმიულერული ჰორმონის ანალიზებთან ერთად, უნაყოფობის მიზეზების სადიაგნოსტიკოდ ინიშნება. ინჰიბინ B ასევე გამოიყენება საკვერცხის რეზერვის შესაფასებლად.

საკვერცხის რეზერვი ქალის ასაკის მატებასთან ერთად მცირდება და რაც უფრო დაბალია იგი, მით უფრო ნაკლებია ჩასახვის შანსი. ასევე დაბალია იმის ალბათობა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ინ-ვიტრო განაყოფიერება წარმატებული იქნება.

საკვერცხის რეზერვის შესაფასებლად, ინჰიბინ B-ს დონეს მენსტრუალური ციკლის ადრეულ ფოლიკულურ ფაზაში განსაზღვრვენ. ასეთ დროს, ინჰიბინ B-ს დაქვეითებული დონე საკვერცხის დაბალ რეზერვზე მიუთითებს.

მამაკაცებში, ინჰიბინ B-ს დონე დაქვეითებულია სპერმატოგენეზის დარღვევისა და უნაყოფობის დროს.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ანალიზის გაკეთებამდე, პაციენტმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს და მისგან მიიღოს მომზადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

შედეგების ინტერპრეტაცია

ინჰიბინის დონე მენსტრუალური ციკლის განმავლობაში საკმაოდ მერყეობს, ამიტომ მენოპაუზამდე ამ ანალიზის შედეგების სწორად ინტერპრეტაცია სიფრთხილეს მოითხოვს.

ინჰიბინ B-ს დონე მომატებულია საკვერცხის გრანულოზური უჯრედების სიმსივნეების 89-100%-ში და საკვერცხის ეპითელიური სიმსივნეების დაახლოებით 55-60%-ში. ინჰიბინ B-ს ნორმალური დონე სიმსივნის არსებობას არ გამორიცხავს.

ინჰიბინ B შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პაციენტების მდგომარეობის მონიტორინგისთვის, რომელთაც დადგენილი აქვთ საკვერცხის კიბო. კერძოდ, წარმატებულად ჩატარებული მკურნალობის შედეგად ინჰიბინ B-ს დონე იკლებს ან მისი აღმოჩენა არ ხერხდება. მკურნალობის შემდეგ მისი დონის ხელახალი მომატება რეციდივის ან დაავადების პროგრესის მაჩვენებელი შეიძლება იყოს. რეციდივის შემთხვევაში ინჰიბინ B-ს დონე კლინიკური სიმპტომების გამოჩენამდე იწყებს მომატებას. რემისიისას, ინჰიბინ B-ს დონე ნორმაშია.

მხოლოდ ინჰიბინის დონეზე დაყრდნობით, სიმსივნის დიაგნოზის დასმა ან მისი გამორიცხვა არ შეიძლება. უნდა მოხდეს ანალიზის შედეგების შეჯამება კლინიკურ სიმპტომებთან და სხვა დიაგნოსტიკური საშუალებებით მიღებულ ინფორმაციასთან.

უნაყოფობის შესაფასებლად ჩატარებული ტესტის შემთხვევაში, ინჰიბინ B-ს დაქვეითებული დონე, საკვერცხის დაბალ რეზერვზე მიუთითებს.

ზოგ პაციენტს, რომელსაც შეხება ჰქონდა ცხოველური წარმოშობის ანტიგენებთან, შესაძლოა სისხლში შესაბამისი ანტისხეულები აღმოაჩნდეთ. ამ მოცირკულირე ანტისხეულებმა შეიძლება ანალიზის შედეგზე გავლენა იქონიონ და მისი სანდობა შეამცირონ.